საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ქ. თბილისი 1 თებერვალი 2013 წელი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის ჩატარების მიზნით მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის N170 ბრძანებით შექმნილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N2

სამინისტროს შენობის ახალი გეგმარებითი სტრუქტურის და არქიტექტურული გარე სახის შექმნის ესკიზური პროექტის და სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

1. **გრიგოლ გიორგაძე** - მინისტრის პირველი მოადგილე (სხდომის თავმჯდომარე);
2. **არჩილ თალაკვაძე** - მინისტრის მოადგილე;
3. **სოფიო ჯაფარიძე** - მინისტრის მოადგილე;
4. **ამირან ჯეგისაშვილი** - ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;
5. **გიორგი გორაძე** - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
6. **შალვა ჯულაყიძე** - ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესყიდვების სამმართველოს უფროსი;
7. **გიორგი ჩხენკელი** - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

8. **ნინო კონჯარია** - ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესყიდვების სამმართველოს მრჩეველი (სხდომის მდივანი).

კონკურსში წარმოდგენილი პრეტენდენტები:

1. **შპს „ოპტიმუსის“** წარმომადგენელი - **გაიოზ ჭანკვეტაძე**
2. **შპს „გეომეფის“** წარმომადგენელი - **ზაზა არახამია**
3. **ინდ. მეწარმე გიორგი ღლონტი**

დღის წესრიგი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ, 2013 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში **სამინისტროს შენობის ახალი გეგმარებითი სტრუქტურის და არქიტექტურული გარე სახის შექმნის ესკიზური პროექტის და სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვის** კონკურსში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების გახსნა და განხილვა.

მოისმინეს:

შ. ჯულაყიძემ მოახსენა კონკურსის კომისიის წევრებს, 2013 წლის 1 თებერვალს **სამინისტროს შენობის ახალი გეგმარებითი სტრუქტურის და არქიტექტურული გარე სახის შექმნის ესკიზური პროექტის და სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვის კონკურსში** დადგენილ ვადაში

წარმოადგინა სამმა კომპანიამ: **შპს „ოპტიმუსიმა“, შპს „გეომეფმა“** და **ინდ. მეწარმე გიორგი ღლონტმა.** დაგვიანებით საკონკურსო წინადადებას წარმოდგენას ადგილი არ ქონია.

განიხილეს:
სხდომის თავმჯდომარემ გ. გიორგაძემ მიმართა დამსწრეებს და განუმარტა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის თანახმად მას შემდეგ რაც ცნობილი გახდება კონკურსში მონაწილეთა ვინაობა, კომისიის წევრები, აპარატის წევრები და შესყიდვების პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი პირი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომისიის წევრები და აპარატის წევრები ხელმოწერით დაეთანხმნენ ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ხელწერილს.

კომისიის წევრმა შ. ჯულაყიძემ მოახდინა პრეტენდეტების მიერ წარმოდგენილი საგადახდო დავალებების შემოწმება, რის შემდეგაც გახსნა დალუქული კონვერტები და გაახმოვანა პრეტენედენტების მიერ წარმოდგენილი ფასები:

1. **შპს „ოპტიმუსის“ - 53620,40 ლარი (ორმოცდაცამეტი ათას ექვსასოცი ლარი და 40 თეთრი);**
2. **შპს „გეომეფის“ - 87000,00 ლარი (ოთხმოცდაშვიდი ათასი ლარი და 00 თეთრი);**
3. **ი/მ გიორგი ღლონტი - 90000,00 ლარი (ოთხმოცდაათი ათასი ლარი და 00 თეთრი).**

ფასების გამოცხადების შემდგომ თითოეულმა პრეტენდენტმა ელ. ვერსიის სახით წარმოადგინა შემოთავაზებული არქიტექტურული კონცეფცია და გააკეთა მოკლე განმარტება შენობის ფასადების, გამოსაყენებელი მასალების, ჭრილებისა და ეზოს კეთილმოწყობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:
სხდომის თავმჯდომარემ გ. გიორგაძემ მიმართა დამსწრეებს და აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება თუ კომისია, პრეტენედენტების მიერ შემოთავაზებულ საკონკურსო წინადადებებსა და საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება არაუგვიანეს 1 კვირაში.

კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ აღნიშნულს.

დაადგინეს:
1. პრეტენედენტების მიერ შემოთავაზებულ საკონკურსო წინადადებებსა და საკვალიფიკაციო მონაცემებს განხილვა საკონკურსო კომისიის მიერ განხორციელდეს არაუგვიანეს 1 კვირისა მიმდინარე თარიღიდან.

კომისიის წევრები:

1. გრიგოლ გიორგაძე ----------
2. არჩილ თალაკვაძე ----------
3. სოფიო ჯაფარიძე ----------
4. ამირან ჯებისაშვილი ----------
5. გიორგი გორაძე ----------
6. შალვა ჯულაყიძე ----------

7. გიორგი ჩხენკელი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

8. ნინო კონჯარია

კონკურსში წარმოდგენილი პრეტენდენტები:

1. **შპს „ოპტიმუსის“** წარმომადგენელი - **გაიოზ ჭანკვეტაძე**
2. **შპს „გეომეფის“** წარმომადგენელი - **ზაზა არახამია**
3. **ინდ. მეწარმე გიორგი ღლონტი**

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ქ. თბილისი 1 თებერვალი 2013 წელი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის ჩატარების მიზნით მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის N170 ბრძანებით შექმნილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

სამინისტროს შენობის ახალი გეგმარებითი სტრუქტურის და არქიტექტურული გარე სახის შექმნის ესკიზური პროექტის და სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა

ჩვენ, კომისიისა და აპარატის წევრები:
ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლს „ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“ ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

კომისიის წევრები:

1. გრიგოლ გიორგაძე ----------
2. არჩილ თალაკვაძე ----------
3. სოფიო ჯაფარიძე ----------
4. ამირან ჯებისაშვილი ----------
5. გიორგი გორაძე ----------
6. შალვა ჯულაყიძე ----------
7. გიორგი ჩხენკელი ----------

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

8. ნინო კონჯარია ----------